

ALDA-მ ხელი მოაწერა საერთაშორისო ფორუმის „თავისუფლების დიდ ქარტიას“ (Magna Charta) თანამედროვე პირდაპირი დემოკრატიის შესახებ

„თავისუფლების დიდი ქარტიის“ (Magna Charta) ხელმოწერის ცერემონია დემოკრატიული ქალაქების საერთაშორისო ლიგისთვის.

2022 წლის 24 სექტემბერს, ALDA-ს გენერალურმა მდივანმა, ანტონელა ვალმორბიდამ მონაწილეობა მიიღო [თანამედროვე პირდაპირი დემოკრატიის საერთაშორისო ფორუმში](#), ქალაქ ლუცერნში, შვეიცარიაში. თანამედროვე პირდაპირი დემოკრატიის საერთაშორისო ფორუმი არის ყველაზე დიდი შეკრება, რომელიც ეძღვნება პირდაპირ დემოკრატიას მთელ მსოფლიოში. ფორუმმა უმასპინძლა ოფიციალურ პირებს, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ზოგადი თვალსაზრისით, ამ ინიციატივის მიზანია გააერთიანოს სხვადასხვა გამოცდილებისა და პროფესიის მქონე ადამიანები. აქტივისტებსა და ორგანიზაციებს მიეცეს შესაძლებლობა, გაუზიარონ თავიანთი შეხედულებები ერთმანეთს და დაუკავშირდნენ მათთვის ნაცნობ საკითხებზე მომუშავე პირებს. ამრიგად, ფორუმი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ დემოკრატია დღეს გამოწვევაა ყველა პოლიტიკურ დონეზე მსოფლიოში ისევე, როგორც წლებანდელი საერთაშორისო ფორუმის მასპინძელ ქვეყანაში, შვეიცარიაში.

ფორუმს კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო კონსორციუმი „შვეიცარიის დემოკრატიის ფონდის“ ხელმძღვანელობით, რომელსაც თავმჯდომარეობდა ადრიან შმიდი და ამერიკული ორგანიზაცია „საერთაშორისო დემოკრატია“, რომლის წარმომადგენელიც გახლდათ მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, კაროლინ ვერნაილი.

ALDA-ს გენერალური მდივანი წარსდგა სიტყვით როგორ „გადავარჩინოთ დემოკრატია“ ფორუმის შემაჯამებელ პანელურ დისკუსიაზე, რომელიც გააშუქა ფორუმის მედია პარტნიორმა - [შვეიცარიის საინფორმაციო არხმა](#). ამ პანელზე ყურადღება გამახვილდა იმ დიდ გამოწვევებზე და კრიზისებზე, როგორცაა ავტორიტარიზმი, დეზინფორმაცია, პანდემიები და ომი, რომელთა წინაშეც დგას დემოკრატია ჩვენს ეპოქაში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა გამძლე და სამართლიანი დემოკრატიის საჭიროებაზე.

როგორც ყოველთვის, წლებანდელი ფორუმიც GFMD 22 დასრულდა მონაწილეთა მიერ შედგენილი საბოლოო დეკლარაციით, რომელიც აჯამებდა კონფერენციის შინაარსს და განსაზღვრავდა წინადადებებს შემდგომი თანამშრომლობისთვის.

ქალბატონმა ვალმორბიდამ ALDA-ს სახელით ხელი მოაწერა საერთაშორისო ფორუმის „თავისუფლების დიდ ქარტიას“ ([Magna Charta](#)) თანამედროვე პირდაპირი დემოკრატიის შესახებ, მმართველი საბჭოს მანდატით

დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსია შემუშავდა და შეთანხმებულ იქნა რომში 2018 წლის თანამედროვე პირდაპირი დემოკრატიის საერთაშორისო ფორუმზე, ქალაქის პარლამენტისა და მთელი მსოფლიოს ქალაქების წარმომადგენლების ძლიერი მხარდაჭერით. მას შემდეგ ის ფართო განხილვის საგანი გახდა. თავის ამჟამინდელ ვერსიაში „თავისუფლების ქარტია“ (Magna Charta) განსაზღვრავს დემოკრატიის 20 განსხვავებულ განზომილებას ადგილობრივ დონეზე – რათა მოქალაქეებმა და ურბანულმა დაწესებულებებმა შეიქმნან წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ადგილზეა მათი ქალაქები დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით.

ფორუმის ბოლო დღეს გაიმართა დემოკრატიული ქალაქების საერთაშორისო ლიგის „თავისუფლების დიდი ქარტიის“ (Magna Charta) ხელმოწერის ცერემონია. ქარტია ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობისთვის.

ხელისმოწერის ცერემონიალს ALDA –ს გარდა შეუერთდა 6 ქალაქის წარმომადგენელი კერძოდ, ვალონგო (PT), ნენსი (F), ლოზანა (CH), ლეონი (ES), ამსტერდამი (NL), ბუქარესტი, (RO) ასევე ქსელური ორგანიზაციები, როგორცაა გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი თვითმმართველობები, (UCLG) ევროპის დემოკრატიის დედაქალაქი (ECoD), სადაც [ქალბატონი ვალმორბიდა არის ექსპერტთა ჟიურის თავმჯდომარე.](#)